№ 655 პარასკევი, 16 ოქტომბერი. 1896—1898 პარასკევი, 16 ოქტომბერი № 655

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის_მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363



ჯუარებელი რიცხვი

საკერავი მაშინებისა

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის

პირველ ხარისხოვანი და საგანგებო

ველოსიპედები

(თვით-მავალა)

ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან

ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება

ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

სავაჭრო სახლი ს. პ. პავლოვისა და ამხ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.

ტელეფონი 349

Торговый домъ С. П. Павлова и К-о

Телефонъ 349

Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин

Богатѣйшій выборъ Швейныхъ машинъ и Велосипедовъ



(100—60)

გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული

ქართველი ქალი

იაფად ამზადებს ორისავე სქესის ბავშვებს ყოველგვარ საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შესასვლელად.

იკითხონ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ს. უ.

Окончившая гимназію

ГОТОВИТЪ

за умѣренную плату дѣтей обоего пола въ младшіе классы всѣхъ среднеучебныхъ заведеній.

*Спрасить въ редакціи «Цнобисъ Пурцели»* (10—3)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება ღირსისა

ალექსის ღვთის კაცისა

(სურათით)

მეორედ გამოცემული

მორჩილის რ. ბარამიძის მიერ

ფასი ერთი შაური (10—4)

# ახალი ამბავი

—

*** **წირვა-ლოცვა ტფილისის სას. სემინარიაში.** ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ პირველის ღვინობისთვიდამ ამ წლისა მოახდინაგანკარგულება, ფრიად სასარგებლო სემინარიის მოწაფეების მიერ საღმრთო მსახურების შესრულების წეს-რიგის გასაცნობლად. მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებისამებრ თითოეულს კვირაში სემინარიის კარის ეკკლესიაში სამ გზის სრულ დების ღვთის მსახურება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; ღვთის მსახურებას მოწაფეები რიგ რიგობით ესწრებიან: კვირა საღამოს მწუხრი ცისკარზედ და ორშაბათობის წირვაზედ ესწრებიან მეორე და მეოთხე კლასის მოწაფეები, სამშაბათ საღამოს მწუხრ ცისკარზედ ოთხშაბათს დილით წირვაზედ—მესამე და მეხუთე კლასის ნოწაფეები, ხუთშაბათს საღამოს მწუხრ- ცისკარზედ და პარასკევის დილით წირვაზედ მეექვსე და პირველი კლასის მოწაფეები... წირვა, ცისკარი და მწუხრი ამ დღეებში სრულდების ნახევარი ქართულად და ნახევარი—სლავიანურად; ერთხელ რომ ნახევარი ქართულად იყოს, მეორედ ეს ნახევარი სრულდება სლავიანურად, და ის ნახევარი, რომელიც პირველად სლავიანურად იყო, მეორედ სრულდება ქართულად, და ასე ამ რიგად მოწაფეებს შეძლება ეძლევათ მშობლიურ ენაზედაც ღვთის მსახურების შესრულების წეს-რიგი ზედმიწევნით გაიცნონ... თავ-თავის იმ მოწაფეებს, რომელთაც უნდა ქართულად ეკკლესიაში სცდის იმავე სემინარიაში ქართულის ენის და დიდაქტიკის მასწავლებელი ბ. ი. ფერაძე... როცა ღვთის მსახურების ქართული ნახევარი სრულდების, მაშინ ეკკლესიაში ასამაღლებლები, კვერექსები, კითხვა და გალობა ქართულია. წირვა-ლოცვას ესწრების ყოველთვის სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი, რომელიც ხშირად მწირველიც ბრძანდება. ხშირად სწირავს აგრეთვე სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ჰერმოგენი.

*** **ქართული ენა სასულიერო სასწავლებლებში.** ამ რამდენისამე თვის წინად საქართველოს ექსარხოსმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ფლაბიანემ შეადგინა კომისია ეპისკოპოსის ლეონიდეს თავმჯდომარეობით, რომელსაც მიანდო ეზრუნა საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის უკეთესად დაყენებაზე. ამ კომისიას განზრახვა აქვს სთხოვოს ექსარხოსს, აღძარით შუამდგომლობა უწმ. სინოდის წინაშე იმის შესახებ, რომ ქართული ენის გაკვეთილების რიცხვი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლებში შემოღებულ იქმნეს ძველებურად, სახელდობრ-კი კვირაში 8 გაკვეთილის ნაცვლად დადგენილ იქმნეს 12 გაკვეთილიო.

*** **ახალი ისტორიული შრომა.** პროფესორს ნ. მარის უკვე დაუმთავრებია თვისი ვრცელი ისტორიული შრომა, სადაც საქართველოზედაც ბევრი რამ ცნობები მოიპოვება. ეს ვრცელი შრომა ამ ჟამად პეტერბურგში სამეცნიერო აკადემიისაგან უკვე იბეჭდება და მალეც გამოვა ცალკე წიგნად.

*** **დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს მის ჩამობრძანება ბორჯომში.** ბორჯომიდან იუწყებიან, რომ 13 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, საგანგებო მატარებლით მივიდა. ბათომიდან მისი იმპერა-

ტორებითი უმაღლესობა მიხეილ ალექსანდრეს ძე. სადგურზე მის უმაღლესობას მიეგებნენ მათი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი მიხეილის ძე, სერგეი მიხეილის ძე და სხვ.

** საერო დარაჯობის საქმე. კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პროექტი საერო დარაჯობის ცვლილების შესახებ, როგორც „ნ. ობ.“ ს აცნობებენ, ძალიან ნაკლებად შეუცვლია კომისიას, რომელსაც მისი განხილვა ჰქონდა მინდობილი.

** ადგილ-მამულების საქმე კავკასიაში. ამ შვიდი წლის წინად აღძრული კითხვა იმის შესახებ, რომ მოწყობილ იქმნეს ადგილ-მამულების საქმე ბათომისა და ყარსის ოლქებში, ამ ჟამად უკვე ჩაითვლება გადაწყვეტილად, რადგან ამ შემოდგომაზე სახელმწიფო საბჭოში შეტანილია წარდგენილება, რომ ყველა ქალაქ-გარეთი ადგილ-მამული ამ ოლქებში ჩარიცხულ იქმნეს სახელმწიფო საკუთრებად.

** ქალაქის საბჭოს სხდომა. 14 ოქტომბერს ტფილისის გუბერნატორის წინადადებით, მოხდა ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა, უსახელო საზოგადოების ახალი წინადადების განსახილველად. საბჭომ ხმის უმეტესობით უფრო სასარგებლოდ სცნო, თვითონ ქალაქმა იკისროს ცხენის რკინის გზის წარმოება, ვიდრე მიიღოს უსახელო საზოგადოების წინადადება და შესყიდულ იქმნეს ხსენებული გზა 25 ოქტომბრამდე.

** ქუჩის რაინდების თავ-გასულობა. რაც ქალაქის ზოგიერთ ქუჩებში უყურადღებობა არსებობს, სათქმელადაც ძნელია. აი მაგალ., მამა დავითის ქვემოდ ერთ ქუჩაზე მიდიოდა ორი ახალგაზდა მორჩილი, მათ დანახვაზე ვიღაც გამოძვრა სამიკიტნოდან და მიმართა მათ სხვა და სხვა უწმაწური სიტყვების ძახილით. ეს თავ გასულობა მოხდა ნაშუადღევის 4 საათზე და რაღა თქმა უნდა, ღამე ამ ქუჩაზე სულაც არ გაევლება პატიოსანს კაცს. ადვილი მისახვედრია, თუ რა დღეში ჩააგდებენ ეს ქუჩის რაინდები უმწე-უნუგეშო გლეხებს. სასურველია რომ ასეთ გარემოებას პოლიციამ ყურადღება მიაქციოს.

** ბათომი. ახალი შემოსავალი. მოგეხსენებათ, ქ. ბათომი დღითი-დღე იზრდება როგორც აღებ-მიცემობით, ისე მოსახლეთა რაოდენობით, ასე რომ ბათომში მკვიდრთა რიცხვი თითქმის 5,000 აღემატება. ამ მოსახლეთ, რასაკვირველია, ძაღლები ჰყავთ, ნამეტნავად „აღებს“, რომელთაც ხუთ-ხუთი ქოფაქი მაინც ეყოლებათ ეზოებში. ასე რომ თითოეულ მოსახლეზე რომ ორი მურა ძაღლი ვიანგარიშოთ, ბათომში ძაღლების რიცხვი 10,000-მდე ავა. თუ სატახტო ქალაქის გამგეობის მიხედვით ჩვენც თითო ქოფაქს ორ-ორ მანეთს გადასახადს დავადებთ, მაშინ წელიწადში ბათომს ქოფაქებიდან 20,000 მან. შემოსავალი ექნება. სწორედ ეგ გარდასახადი თუ რამეს გვიშველის, თორემ ღამით ვერ გაგვივლია ქუჩაში! მიდიხარ, შემოგიყეფს ძაღლი და აბა თუ გულადი ხარ ფეხი გადადგი საჭიროა ხელში დიდი კეტი ან ხანჯალი გეჭიროს, რომ როგორმე თავს უშველოთ.

ყ. ნ—ძე

** დ. ლანჩხუთი (გურია). ძველი და ახალი ამბები. ჩვენს დაბაში ხალხის ზნეობა მეტად დაეცა. აქ უიარაღო თუ იარაღიანი ყველა ქუჩაში გამომდგარა და თუ მტერს ვერა დააკლო-რა, მოყვარე ხომ გვერდით ჰყავს, არ დაინდობს და სულ უბრალოზე გამოასალმებს წუთი-სოფელს, რა არის ამით სახელი მოიპოვოს. ეს რაინდები ყოვლად გაუტანელი ხალხია; ცოტა ღვინო საკმარისია, რომ მათმა იარაღმა რომელისამე წყნარის და მშვიდის ადამიანის თავზე გაიელვოს და ადამიანის მოკვლას ისე არაფრად ჩააგდებს, როგორც წიწილის სიკვდილს. ჩხუბი, კაცის დაჭრა, მკვლელობა, ლანძღვა-გინება აქეთ მეტად გახშირებულია და ამ შემთხვევების შესახებ „პროტოკოლების“ წერაში პოლიციელებს თითები აქვთ ატკივებული. ისე მზე არ ჩავა, რაიმე უკმაყოფილება ჩვენი სოფლისათვის თან არ ჩაიტანოს.

გარდა ამისა, კვირა-უქმე დღეს აქ ისე ამუშავებენ ხარ-კამეჩს, როგორც საქმის დღეს. წირვა-ლოცვაზე მათი ქალები უფრო საარშიყოდ მიდიან, ვიდრე სალოცავად და ერთი მეორის ქვრეტასა და ქირდვაში ატარებენ მთელს წირვას. მოახლოვდება თუ არა ზიარების აღების კვირა, ზოგი ალთას გარბის, ზოგი ბალთას; (იგულისხმეთ უფრო ქალები!) ზოგი მწვადებს შეექცევა და ზოგიც სუკებს. თუ რომელსამე ეკლესიაზე დღესასწაულია, იმის მაგივრად, რომ ეკლესიში წავიდნენ და ილოცონ, გადაჭარბებულად თვრებიან და სიმთვრალის დროს ხან კაცს ჰკლავენ, ხანქალს. ერთი ამგვარი მაგალითი ამ ხანებში ერთს ეკლესიაშიაც მოხდა. ერთმა ახალგაზდა ცოლ-შვილიანმა ყმაწვილმა, როცა კარგად შექეიფიანდა, საცეკვაოდ გამოიწვია აქაურივე ახალგაზდა გასათხოვარი ქალი. უკანასკნელმა არ შეასრულა შექეიფიანებულ ყმაწვილის თხოვნა, ამის გამო თავ-ქეიფა ყმაწვილმა რევოლვერი ძუძუებში დასცა და ამ ქვეყანას გამოასალმა. მკვლელი იქვე შეიპყრეს და მეორე დღესვე ქ. ოზურგეთში მაზრის უფროსს წარუდგინეს. მეორეც ამგვარი მაგალითი ამ რამდენისამე კვირის წინად ს. ჩიბათშიაც მოხდა. ერთი საწყალი ქალი მისმავე მეგობარმა გახურებული ტყვიის მსხვერპლი გახადა. არ იფიქროთ, ამის მიზეზი ან სიყვარული, ან მიჯნურობა იყოს! ყველა ესენი ჩვენში უარყოფილია და საქმე ფულებზეა მიმდგარი, რის გამო მკვლელობა ასე ხშირი შეიქნა.

მარტო მამა-კაცებიც არ არიან ასეთი საქმის მომხდენნი ჩვენში და ქალებიც დიდ მონაწილეობას იღებენ სხვების ცემა-ტყეპვასა და ლანძღვა-გინებაში. ამ რამდენიმე დღის წინად რკინის გზის სადგურზე ორმა მანდილოსანმა ლაზათიანად მიტყეპ მილანძღეს ერთი-მეორე ურიცხვ საზოგადოებაში და კმაყოფილნი განშორდნენ ერთმანერთს.

— ქეთილი ფერშლის გარდაცვალება. ამდენ უბედურებას ზედ დაერთო ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი ლანჩხუთელებისათვის. დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აქაური მხნე და გამოცდილი ფერშალი ანტონ დანიელის ძე სამარკინი, რომელიც ხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადი გულმხურვალედ და ერთგულად ემსახურებოდა როგორც ჩვენის, ისე სხვა სოფლის გაჭირვებულ ხალხს. ლანჩხუთში აფთიაქის დაარსებამდე განსვენებული თვითონ ამზადებდა წამლებს და ბევრს გაჭირვებულს სრულიად მუქთად აძლევდა საკუთარის ფულით შეძენილს წამლებს ვინ მოსთვლის რამდენი ჰყავს დღეს ჩვენს სოფელს მის მიერ სიკვდილისაგან დახსნილი ოჯახიშვილი და მხიარულად ატარებს დროს. ასეთი კაცი მოაკლდა ლანჩხუთს. ეს კაცი უკანასკნელ დროს ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად იყო ნივთიერად, მაგრამ მისი ნაამაგევი არავის გაუხსენებია და ერთხელაც სამაგიერო პატივის-ცემა არავის გაუწევია.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ჩვენი სოფლისთვის გულშემატკივარო მუშაკო ანტონ!

ი—ნიკე

** პატარა ლიახვის ხეობა. ქურდობა. ქართული ანდაზაა: „მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო“. ოსებში ხომ არიან ქურდები და არიან, ამას რაღა ლაპარაკი უნდა, მაგრამ სამწუხარო და სატირელი ის არის, რომ იმათზე უარესები, ზოგიერთა ქართველი ვაჟბატონები გახლანან. თუმც თვითონ კი არა კადრულობენ ქურდობას, მაგრამ იმისთანა ქურდ-ბაცაცა ოსებს იჭერენ მოჯამაგირეებათ, რომ ქვეყანას აციგვებენ იციო რათ უნდათ ქურდი ოსები? იმათ, რომ თავისი გამჯავრებელი მოძმე ქართველი როგორმე დააზარალოს და გული ატკინოს; ერთი-ორად აძლევს ჯამაგირს ამ ზნეობით გაფუჭებულ კაცს და ხანდიხან თავიანთთან სუფრაზედაც დაისმენ. ამ ნაირად წაქეზებულ ოსს, რა სისაძაგლის ჩადენა არ შეუძლიან? ამისთანა კაცმა ოჯახში წაგიყვანა სტუმრად გამოეთხოვე შენი თივთიკის ყაბალახს თუ წითელის-გადაკვრის შემდეგ ინებებთ ბაღჩაში წამოწოლას ჯიბეში ხელს ნუღარ ჩაიყობთ, საფულე იქ აღარ იქნება. მაგრამ კარგი ის არის, რომ ხან ბატონებიც არ რჩებიან უპატივცემულოდ ამათგან. ქურდი მოჯამაგირე გადასცემს ბატონის იორღა ცხენს თავის მოძმე ქურდსავე და მშვიდობით! შემოდის ბატონთან და ეუბნება: ბატონო! ცხენი ვიღამაც მოგვპარა და დავილუპენით. ამისთანა ოჯახში საფულისა და ყაბალახის ან სხვა ნივთების მოპარვას ხომ არ დაგაჯერებენ; სადილ შემდეგ, ან სტუმარს დაამტვრევენ თავდაპირს და თვითონაც დაიმტვრევენ. სხვა რაღა გვეთქმის? ოსი ტყე-ტყე დაეთრევა, სუნაგი მგელივით, იქნებ შევხვდე რასმეო. მწყემსებისა რომ ეშინიან, დაიმალება ბუჩქებში, ბალახს გაუშვერს თხებს, ციკნის ხმაზე ეძახის მეეე, მეეე!.. მოიტყუილებს თხას, წაუჭერს ყელში, არ დაიჩხავლოსო, დაჰკლავს იქვე, გაატყავებს, ხორცს ჩაჰყრის ხურჯინში და გაიპარება შინისკენ.

მართალაძე

** დ. ხოპი (სამეგრელო). ძველი ტაძრის მდგომარეობა. დასავლეთ საქართველოში ძველ კოლხიდაში, შავი ზღვის მახლობლად, არის ერთი უძველესი ტაძარი, მეტად ღირსი ყურადღებისა, ეს ტაძარი უმაღლესი ხელოვნებით არის ნაშენი: ბიზანტიური მხატვრობა, სამეგრელოს სასიქადულო სიწმინდეები: ღვთის-მშობლის კვართი (პერანგი) და სხვა ნაწილები, ძვირფასი ხატები და ჯვრები, 957—1660 წ. დიდებულ მეფეებისაგან თვალ-მარგალიტით შემკობილნი და სხ. ისტორიული პირების სურათები.

აი ეს დიდებული ტაძარი, წელიწადზე მეტია, რაც წვიმისაგან ვერ დაგვიფარავს, არა უფულობის, არამედ დაუდევრობის გამო.

შარშან-წინ ამ ტაძრის დახურვას მარსელიის კრამიტით ნარდათ გავურიგდით ვაჭარს №-ს, რომელსაც ხარჯისა და შრომის გარდა

კიდევ რავდენიმე თუმანი მოგება დარჩებოდა.

როდესაც ძველი სახურავი გადაარღვიეს და ახალზე მიდგა საქმე, მაშინ №-მა ოსტატებს უბრძანა: „ძველს სახურავის ზომა ირგვლივ შემოხერხეთ-შეამოკლეთო“!! მათ ამაზე წინააღმდეგობა განაცხადეს, პირველად იმიტომ, რომ ვაჭარი ვალდებული იყო პირობის ძალით ძველი სახურავის ზომა დაეცვა; მეორედ იმიტომ, რომ ტაძრისათვის გარშემო სრულ ფრთედები და ღარები საჭირო იყო კედლების წვიმისაგან დასაფარავად. მაგრამ კარგი რჩევა არ შეიწყნარეს. სახურავს 2—2 მტკაველი მოახერხეს და დაამოკლეს. ამით ვაჭარმა ზედ მეტი 200—300 მან. მოიგო, რადგან 1,000 კრამიტი, რეიკები და სხვა მასალები და, მუშაობაც შეუმცირდა... ამ წინდაუხედაობამ გამოიწვია საჩინო ზარალი, მთავრობის და საზოგადოების წინაშე ჯერ ისევ დაუსრულებელი ღაღადი, რადგან ყოველ ძლიერი წვიმის დროს, ტაძარში წვიმა ჩამოდის და დაუხურაობით სახლები ლპება.

15 ავვისტოს აქ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მობრძანდა და მის კითხვაზე: „წვიმა კიდევ ჩამოდის თუ არაო, წინამძღვარ ბერებმა არაო მიუგეს. მაგრამ 30 სექტემბერს და 3 ოქტომბერს, ხოპის მონასტრის დიდებულ ტაძარში აქა-იქ საშინელი ღვარი იდგა, რასაც მოწმობს ჯერ კიდევ გაუშრობელი კედლები და იატაკი...

რომ შარშანდელსავით კედლები წვიმის და ყინვისაგან არ დასკდეს, წყლით გაჟღენთილი ძველი შენობა რომ ერთბაშად არ დაიქცეს და სამუდამოდ არ გამოვესალმოთ ამ დიდებულ ტაძარს, რომ მის ნანგრევების ქვეშ ძვირფასი ხატ-ჯვრების აქა-იქ ძებნა არ დაგვჭირდეს, საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ ტაძარს.

ხოპელი

* * * **სოფ. კურდღელაური.** (კახეთი). უცაბედი მკვლელობა. ამას წინად, ღამით, ადგილობრივი მცხოვრების თავ. რუსიშვილის ბაღში შევიდა რამდენიმე კაცი ყურძნის მოსაკრეფად. მებაღემ დაინახა თუ არა მოუპატიჟებელი სტუმრები გაისროლა თოფი დ იქვე მოჰკლა დაუპატიჟი სტუმართაგანი. მებაღეს თოფის სროლით უნდა შეეშინებია და გაედევნა ქურდები, და ამიტომ რა დაინახა, რომ კაცი მოეკლა, მორთო ხმამაღლა ტირილი და „მიშველეთო“ ძახილი, დანარჩენი ქურდები იმ წამსვე გაიქცნენ.

* * * **თელავი.** სასტიკად დასჯილი აშიყი. ამ დღეებში, საღამოს 8 საათზე, თელავში კარგად ცნობილი ბ. ბ... შეუვარდა სახლში ერთს ადგილობრივს მოქალაქეს. სწორედ ამ სახლიდან იგი ამას წინად კინწის-კვრით გამოაგდეს რაღაც არშიყობისთვის, სახლში არავინ იყო მამაკაცთაგანი და ამის გამო „სატრფო“ მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდა. საბედნიეროდ, შინაურებმა ეს ამბავი აცნობეს მეზობლებს, რომლებიც კიდეც მოეშველნენ „სატრფოს“. ადგილობრივმა დონჟუანმა მოქუსლვა დააპირა. გაძვრა აივანზე და უნდოდა იქიდან ქუჩაზე გადასულიყო, მაგრამ სიჩქარის გამო დაჰკარგა სიდინჯე-ზომიერება, მეორე სართულიდან გადავარდა ქუჩაზე და ფერდი იღრძო. სწორედ ამ დროს მოუსწრეს მას მეზობლებმა, რომელთაგან ორი გმირი მივარდა ბედკრულს და უკვე დასჯილ არშიყს და საშინლად დაბეგვეს კეტებით. მოვიდა პოლიცია და ცოცხალ-მკვდარი ბ... ეტლით წაიყვანეს ექიმთან. ამბობენ, ძალიან მძიმედ არის დაშავებულიო. („ნ. ო.“)

* * * **ქ. გორი.** ქალთა სამრევლო საეკლესიო სკოლის შესახებ. წელს, გორის საკრებულო ტაძართან არსებულ საქალებო სამრევლო სკოლაში კურსი გაათავეს ექვსმა ქალმა, თითქმის სრულიად ხელ-მოკლე კაცთა შვილებმა. ორი მათგანი საქალებო პროგიმნაზიაში შევიდა, ერთი პირველს კლასში და მეორე გამოუცდელად უფროსს განყოფილებაში. მხოლოდ, ვიცი-რა მათი ავლა-დიდება, მჯერა და მრწამს, რომ თუ ვინმე მადლიანი კაცი არ გამოუჩნდა მათ, მალე გამოესტუმრებიან ზემოხსენებულ პროგიმნაზიას, რადგან იქ სწავლის ფასი ხუთ თუმნამდეა, რაიც ყველასათვის ფრიად სამძიმოა.

ამ სახით, ამათ რომ თავი დავანებოთ, დარჩნენ ბედისაგან დაჩაგრულები ოთხნი; რასაკვირველია, წრეულს მხოლოდ ოთხნი, თორემ იმედია, მერმისათვის ამ ოთხს რვა ცხრა ოხერ-ტიელთა ბავშვი—კიდევ სხვა მიემატება, რომლებიც წრეულს გაათავებენ სკოლას.

გაათავეს ვსთქვი, მაგრამ რა გათავებაა, როდესაც ეხლა ჩავარდნენ გონს, თუ აქამდის გულ-ციად ეპყრობოდნენ სწავლას, დღეს ენატრებათ,—დღეს თითქმის, რომ ვსთქვა სწყურიათ, მაგრამ მშველელი არსაით არის, რადგან სკოლა ჯერ სიღარიბისა გამო ერთკლასიანია.

ამითი, რასაკვირველია ერთად ერთი ნუგეში გორის ზემოხსენებული ოთხ-კლასიანი საქალებო სკოლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, იქ შესვლას ვინ მოუმართავს ხელს, როდესაც ჩვენს ბავშვებს ხშირად სწავლის დროს ერთი სამ კაპიკიანი რვეულის ყიდვაში მთელი კვირა გაუტარებია, იქ კი, წიგნები რომ არ ჩავაგდოთ, ფასი აუტანელია მათთვის.

აი, ამ მიზეზთა გამო, მე მსურს ვსთქვა ორიოდე სიტყვა: ეს ერთკლასიანი სკოლა სულ ადვილად შეიძლებოდა გადაკეთებულიყო ორ-კლასიანად, რის გამოც ამ ბავშვების სწავლა-ცოდნას ორი წლით კიდევ შევავსებდით. ამავე დროს არავითარს დიდს ხარჯს არ მოითხოვს, დიამც იყოს მთავრობის ერთი ოციოდე თუმანი დასჭირდეს დასახარჯად; ეს ფული კიდეც რომ არ გადაკეთდეს ორკლასიანად, მაინც საჭიროა, გადაიდოს, რადგან მისი აწინდელი არსებობა ნივთიერის მხრივ არა არს არსებობა.

ამავე დროს ყველა ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ეს ორი წელიწადია, სწავლა მეცადინეობა სწარმოებს ორ ოთახში ორი მასწავლებლით. ამ გვარად ერთს ოთახში შეიძლებოდა დაარსებულიყო ერთი კლასი სამი განყოფილებით, როგორათაც მთელს ეპარქიაში არსებობენ ამ გვარი სკოლები; მხოლოდ მეორე კლასი, ე. ი. მეოთხე და მეხუთე განყოფილება მოთავსდეს მეორე ოთახში და აი ამ გვარად ესეც თქვენი ორ-კლასიანი სკოლა! აბა აქ რა დიდი დავიდარაბა უნდა? თუ კიდევ მთავრობის მხრივ არ მოხერხდებოდა დახმარება ფულით, მაშინ შეიძლებოდა დროებით დაეწესებინათ მეორე კლასის მოსწავლეთათვის უფრო მომეტებული გარდასახადი სწავლის ფული, (ეხლა სწავლის ფული ხუთი მანეთია). ერთ თუმნამდის, რასაც, დარწმუნებით ვიტყვი, რომ გაჰბედვენ და ვალსაც აიღებენ მშობლები და ისე გარდიხდიან.

ამ გვარად თუ წრეულს გათავებულმა პროგიმნაზიის პირველს კლასში დაიჭირა, მაშინ ხომ მესამე კლასისთვის მოამზადებს ჩვენი სკოლა და ეს განა ცოტასა ნიშნავს? შეიძლება ამ უუსაჭიროესს საქმის განხორციელებას იმ გარემოებამაც დაუშალოს, რო ამ სკოლის აწინდელი მასწავლებელნი არ იყვნენ ორ კლასიანი სკოლისათვის შესაფერნი, მაგრამ საბუთად ეს არ ჩაითვლება, რადგან ამათთვის ხომ არ დაუმტკიცებიათ ეს სკოლა საუკუნოდ, ესენი ისევე ემორჩილებიან კანონს, როგორათაც სხვები და ამიტომ აქ რა საძნელოა, თუ ესენი შესაფერნი არ არიან, სხვანი აღმოჩნდებიან და ამითი კი ნუ დასჩაგვრენ ისედაც ბედისგან დაჩაგრულ ქვრივ-ოხერთა ბავშვებს, რომელთაც ნუგეშად და ლამპრად ეხლა სამრევლო სკოლები-ღა დარჩენიათ და ამიტომაც იგინი მათგან სამართლიანად ითხოვენ შველა-შემწეობას. ჩემის აზრით, სადაც კაცს საქმის გაკეთება სურს, იქ ნამეტანს ხათრს და გულ-კეთილობას, თუ კი საზოგადო კეთილს საქმეს აფერხებს, არ უნდა ეჭიროს ადგილი. (გაგრძელდება).

ნ. მ.

* * * **ს. წმადისი** (რაჭა). ეკკლესიის აშენების საქმე. არ იქნა და არ მიეცა დასასრული ადგილობრივი წმიდის ეკკლესიის აშენებას. ამის მიზეზი ბრძანდებიან უთაური მეთაურები. წელიწადზე მეტია, რაც ძველი ეკკლესია დაკეტილი არის. არც გვაქვს წირვა და არც ლოცვა. მეთაურები ხან იტყვიან ხის სარტყელით შევკრათო, ხან და რკინისა გავუკეთოთო. ნეტავი მოვსწრებოდით აშენებას და თუ უნდათ ბაწრით შეჰკრან.

რაჭველი

* * * **დ. სამტრედია.** უცნაური დროს გატარება. აქაურმა რკინის გზის მოსამსახურეებმა გამართეს ქეიფი. ამ ქეიფის დროს მათ იყიდეს ერთი კუბო, ჩააწვინეს შიგ ერთი მოქეიფეთაგანი და დაუწყეს ბაზარში წასვენ-წამოსვენება გალობით და ტირილით. ეს ამბავი გაგრძელდა ხუთ საათამდე. ბოლოს გააგდეს კუბო ხელიდან და შიგ მწოლარე, რომელსაც კიდეც ჩასძინებოდა, კინაღამ ჰკუაზე შეიშალა.

მეთვალყურე

* * * **ქ. ქუთაისი.** ქართული თეატრის საქმე. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ერთათ ერთი გასართობი ქუთაისში იყო თეატრი. მართლაც და სხვა აბა რა გაგვაჩნია? არაფერი! მარა უკაცრავათ „ბულვარი“ გვაქვს! უტრიალე გარშემო ამ „ბულვარს“, ყლაპე მტვერი და როდესაც კარგა ლაზათიანად გაიბერები, გაუდექი შინისაკენ. მაგრამ იქნება თეატრში გნებავსთ წასვლა?! ქართული წარმოდგენები გნებავთ ნახოთ?! ვერა ბატონო! ქართული წარმოდგენები აღარ გახლავთ, სათეატრო კომისიამ აიღო ხელი წარმოდგენების მართვაზე. ხუმრობაა, დალოცვილო! ოთხი თვე მართეს წარმოდგენები, დაიღალნენ, აღარ შეუძლიანთ და ვა! რაც ძალი ღონე შესწევდათ, ემსახურნენ საზოგადო საქმეს, ისე კარგათ და ერთგულათ წაიყვანეს საქმე, რომ ძირიანად აღმოფხვრეს ქუთაისში ქართული წარმოდგენები, შორიდამ ღიმილით უცქერიან თეატრს და ვაი ვაის ხმაზედ გაიმღერიან:

„ჩვენ გახლავართ იგი ფინდი
ხელიდამ რომ გაგვიფრინდი“

დიდება თქვენს გმირობას, აწ განსვენებულო კომისიავ. თქვე დალოცვილებო, თუ კი არაფერი შეგეძლოთ, რათ ჰკიდებდით ხელს ესეთ რთულ საქმეს? ან და თუ აწი აღარ შეგეძლოთ გაძღოლოდით ამ კეთილ საქმეს, ისე მაინც მოახერხებდით, რომ სხვებს მოეკიდათ ხელი და არ გამქრალიყო ქართული წარმოდგენები! მიგებაძათ მაინც შარშანწინდელ კომისიისათვის: ისინი წავიდნენ, მაგრამ სხვებს მაინც გადასცეს საქმე და იმართებოდა წარმოდგენები. ეხლა რომ ჰკითხავთ, რატომ კიდევ არ დანიშნავთ საზოგადო კრებასო, პასუხათ ამას მიიღებთ: „ჩვენ თავი დავანებეთ და როგორც გინდათ, ისე იმოქმედეთო". კარგი, ბატონო! თავი დაანებეთ, მაგრამ რით ანუგეშეთ ის მსახიობნი, რომელთაც ზოგს ორი სამი თვის და ზოგს სულაც არ მიუღია ნაშრომი მთელი ზამთრის სეზონში. დღემდის არც ერთს მსახიობს არ ამოუღია ხმა ჯამაგირის შესახებ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მომავალში სეზონი იქნება და ჯანდაბას, თუ წასული შრომა დაიკარგა! მომავალში მაინც ცოტა გასამრჯელოს ავიღებთო, ქართული წარმოდგენები მაინც არ მოისპობაო, მაგრამ გაცრუვდა იმედები; არამც თუ სეზონს ვერ ვეღირსეთ, არც კი მოიღეს მოწყალება, რომ ტფილისის საზოგადო კრებისათვის ან კომიტეტისათვის მოეხსენებიათ ანგარიშები და საქმის ვითარება, რომ იქნება იმათ მაინც ეპატრონებიათ ჩვენთვის, იქნება იმათ მაინც მიექციათ ყურადღება ჩვენი საწყალი სცენისათვის. დღეს კი აქაურმა მსახიობებმა არ იციან, ვის მიმართონ, ვის სთხოვონ ზამთრის ნაშრომ-ნაღვაწი. როდესაც აქაურ „ოტსტავკაში" გამოსულ კომისიას მივმართავთ, გვიპასუხებს: ხომ არ შემოუტანიათ აბონენტებს და რა მოქცეთო. ძალიან მიკვირს ამ აბონენტების საქმე! დალოცვილებს თუ არ შეეძლოთ ფულის გადახდა, რაღათ იღებდნენ ათი და ოცი წარმოდგენის აბონემენტს, წარმოდგენებს თუ კი არ დააკლდებოდნენ და წამოიჯგიმებოდნენ სავარძლებზედ! რათ არ ფიქრობენ იმას, რომ მსახიობებს ჯამაგირი უნდათ, რით ვერ მიხვდნენ ამდენ ხანს, რომ ფულს გარდახდა უნდა. მთელს ზამთარში ისინი სიამოვნობდნენ და ჩვენ, მსახიობებს კი, სიმწრის ოფლი გვდიოდა, მაგრამ ან კი მსახიობებს ვინ მისცათ ის ბედნიერება, რომ მათი შრომა დააფასოს ვინმემ, ხელი შეუწყოს და გაამხნევოს ისინი?! მხოლოდ ტანჯვისათვის არის გაჩენილი და საზოგადოების გულცივობისაგან ტანჯვაში უნდა ამოძვრეს სული.—

აბონენტებს თავი დავანებოთ, რატომ არ გაისარჯა აქაური კომისია, რომ საწევრო ფული მაინც მოეგროვებია, რომელიც შეადგენდა არა ნაკლებ ხუთასი მანეთისა. კმარა! სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ჩემის თქმით, ვიცი, არა გამოვა, მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ სირცხვილია ჩვენი ახალგაზდა ინტელიგენციისათვის, რომ წელს ქუთაისში ქართული წარმოდგენები არ იქნეს, მით უმეტეს, რომ ზარალს თავის დღეში არ მისცემს თუ კი მას კარგი მოთავე ეყოლება, როგორც მაგალ. შარშან-წინ იყვნენ ჩვენს კომისიის წევრებათ (კ. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე, დ. წულუკიძე და გრ. გველესიანი) მარტო კოპწიაობით და არშიყობით საერო საქმე არც გაკეთებულა და არც გაკეთდება. საქმეს უნდა ვემსახუროთ საქმეს და არა მარტო ოცნებებს მივცეთთავი!

მსახიობი ვასო ბალანჩივაძე

## რედაქციისაგან

**ფოთში** პ—ილს. თქვენი წერილი პირადობას შეეხება და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ.

**ქუთაისში** w—w-ს. გმადლობთ გამოგზავნილისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოვიყენებთ. საქმე ის არის, რომ მოამბემ უწინარეს ყოვლისა უნდა აღნიშნოს ფაქტი და მხოლოდ ფაქტია მერე კი შეიძლება მსჯელობა.

**სამეგრელოში** გურულ-მეგრელს. წერილები ბიბლიოთეკისა და სკოლის შესახებ ვერ იბეჭდება.

## არჩევანები გორში.

ორშაბათს, 12 ოქტომბერს, ჩვენი ქალაქი გორი ძლივს ეღირსა თავის სურვილის შესრულებას. ამ დღეს მოხდა აქ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები. დილის 8 საათიდანვე დაიწყო ხალხის მოდენა. ცხრა საათი იყო რომ შეიყარა 57 ხმოსანი ამომრჩეველი და მრავალი მაყურებელი ყოველი წრიდან. ამ დღისათვის სოფლის მემამულეც კი მრავალი ჩამოვიდა. მიზეზი ამდენი ხალხის დასწრებისა იყო ის, რომ ყველამ კარგათ იცის თუ როგორ დაეცა გორი, რის მიზეზი არის ჩვენი ქალაქის მოურავი ის. გ—ძე გულიშამბაროვი და მისი დასი. ამომრჩეველთა უმრავლესობა ცდილობდა როგორმე ისეთი ხმოსნები ამოერჩიათ, რომელთაც დაეჭირათ ქალოქისათვის სასარგებლო ხალხის მხარე. ხმოსნები გაიყვნენ ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე დასათ. ერთი დასი მოურავი გულიშამბაროვი და მეორე ახალი დასი, რომელსაც სურს ამოირჩიოს მოურავად ახალი სასარგებლო კაცი. სანამ არჩევნები დაიწყობოდა, რამდენიმე კაცს შორის მოხდა შეტაკება, ამ შეტაკების შემდეგ პირველმა დასმა ყუთების დადგმაზე უარი განაცხადა. უარი განაცხადეს თვით მოურავმა ის. გრ—ძე გულიშამბაროვმა, ილ. ი. ნატროშვილმა (გამგეობის ვექილი), გამომძიებელმა ტერ-სტეფანოვმა, მიხეილ დონდაროვმა და სხვ. ყუთი დაიდგა ოცდა-ორმა კაცმა, ამორჩეული უნდა ყოფილიყო 15 ხმოსანი. ამორჩეულ იქმნენ: 1) პოლკოვნიკი გვარდიისა თ. რ. შ. ერისთავი, 2) საპატიო მომრიგებელი-მოსამართლე თ. მ. რ. ერისთავი, 3) ექიმი ჩ. რ. მოსტოვიჩი, 4) ექიმი ი. ი. სააკოვი, 5) მ. ა. ხუდადოვი, 6) პ. ხუდადოვი, 7) ა. ი. ანრონიკაშვილი, 8) რ. ა. ჯულაბოვი, 9) ნ. ა. ჯულაბოვი, 10) ა. პ. შიხინოვი, 11) ი. რ. რამანოვი, 12) ს. ღ. ლამბაროვი, 13) ხუროთ-მოძღვარი სააბო, 14) გრ. დ. ლოლაძე და 15) ა. გარსევანაშვილი.

ა. გ.

## ყურმოკრული საუბარი

ერთი სასტიკი მებატონე იყო, რომელიც, თავის მოსამსახურეებს რომ გაუჯავრდებოდა, უეჭველად ამ სიტყვებით დაბოლოვებდა: თავის დღეში მე აღა გაიმეორთოთ.

ერთხელ ერთს მოსამსახურეს მამა მოუკვდა და სამსახურში დაუგვიანდა.

— კარგი, კარგი, უთხრა მებატონემ—მესმის შენი მდგომარეობა დამენანე კიდეც, მაგრამ მე კი თავის დღეში აღარ გაიმეორო.

—

ერთმა დაბერებულმა გასათხოვარმა ქალმა მგოსანს საქმე გაუჭირა თავისი არშიყობით. ერთხელ ქალმა სთხოვა მგოსანს, ერთათ გავისეირნოთო, მაგრამ მგოსანმა მიზეზათ ცუდი ამინდი მოიტანა და მოიშორა თავიდან; ნახევარ საათის შემდეგ მგოსანი ბაღში შეხვდა.

— აი რაში ყოფილა საქმე!—მიმართა ქალმა, სჩანს ამინდს გამოუდარნია.

— დიახ, ცოტაოდნად გამოიდარა, მხოლოდ ერთისთვის მაგრამ ორისთვის კი არ იკმარებსო.


## განცხადებანი

იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30—16)

**Годъ второй.** ОТКРЫТА ПОДПИСКА **Годъ второй**

на **1899** годъ

*на еженедѣльную литературно-политическую и научно-популярную газету*

# „РОССІЯ И АЗІЯ"

(Подписной годъ съ 1 Ноября 1898 г. по 1 Ноября 1898 г.)

Годовая цѣна безъ доставки **5 руб.**, съ доставкой и пересылкой—**6 руб.**, заграницу **7 руб.**, за полгода безъ доставки **3 руб.**, съ доставкой и пересылкой **4 руб.**, заграницу—**5 руб.** Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ по 3 руб. въ два срока, или по 2 руб. въ три.

Адресъ Редакціи: *КІЕВЪ. Паньковская, д. № 12.*

Газета дастъ въ теченіе года: 1) 50 номеровъ «Научно-литературнаго отдѣла», посвященнаго Востоку, еврейству, инородцамъ, **Кавказу**, Туркестану и Сибири и 3) 4 книги приложеній подъ названіемъ „Альманахъ Россіи и Азіи», въ которой войдутъ;

I. **Арменія**. Сборникъ статей различныхъ Русскихъ и иностранныхъ авторовъ объ Арменіи, ея исторіи, литературѣ о отрывки изъ произведеніи Армянскихъ писателей.

II. **Спиноза.** Біографія и лучшія произведенія знаменитаго Еврейскаго философа-пантеиста съ критическимъ комментаріемъ.

III. I томъ «Полнаго Собранія сочиненіи» знаменитаго романиста Георга Еберса, автора романовъ «Дочъ Египетскаго царя», «Императоръ» и пр.

IV. **Моріеръ.** Мирза Хаджи-Баба Исфагани. Новый переводъ съ Англійскаго по порученію Редакціи. (Эта книга была переведена въ сороковыхъ годахъ Барономъ Брамбеусомъ и представляетъ изъ себя романъ, состоящій изъ забавныхъ, юмористическихъ сценъ изъ жизни Востока вродѣ Жильблаза Лесажа).

Всѣ годовые подписчики „Россіи и Азіи" за прошлый годъ будутъ получать изданіе цѣлый годъ БЕЗПЛАТНО. Оставшіеся экземпляры „Россіи и Азіи" за прошлый годъ новые подписчики могутъ получить за 3 руб.

Объявленія—10 коп. строка корпуса.

(7—1) Редакторъ-издатель прив. доц. **А. Н. Гренъ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნია